პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 274 (18516) შაბათი, 27 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

შესრულებულია თერთმეტი თვის გეგმა

საქართველოს სსრ მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს რეალიზაციის მოცულობისა და ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1982 წლის ივნვარ-ნოემბრის გეგმა.

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც შთაგონებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებით, ეძებენ ახალ რეზერვებს, აყენებენ მათ წარმოების სამსახურში, ამუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მრეწველობის დინამიკური განვითარება, ეკონიერულ-ტექნიკური პროგრესი [illegible] რება, წლის დავალებათა წარმატებით შესრულება.

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა რეალიზაციის მოცულობისა და ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის თერთმეტი თვის გეგმა. თავიანთ წარმატებას თბილისელი მშრომელები სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს უძღვნიან. (საქინფორმი).

ლენინური გზით

ცაბჭოთა ქვეყანა მალე დაიწყებს მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს. დიდია ჩვენი ხალხის მიღწევები, უდიდესი და რთულია მის წინაშე დასახული ამოცანები. ეს ამოცანები რომ წარმატებით გადაწყდეს, ამის საწინდარია პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მათი მხარდაჭერა მეტაცდენ და განუხრელად იარონ წინ ლენინური გზით. ეს მთელ მსოფლიოს კვლავ უჩვენა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან გამოთქოვების დღეებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა. ეს ახალი ძალით დაადასტურა ამ დღეებში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

პლენუმმა განიხილა საკითხები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ლენინ ილიას ძე ბრეჟნევის სსოვნის უკვდავყოფის შესახებ".

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა. მან გამოსვლაში აღნიშნული პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობა, დახასიათებული ხუთწლედის მორიგი წლის გეგმა და ბიუჯეტი, ღრმად არის განხილულებული საბჭოთა ეკონომიკის მდგომარეობა, გაშუქებულია სიძნელენი და ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ნაჩვენებია მათი დაძლევის გზები და საშუალებანი.

როგორც ცნობილია, სკკპ XXVI ყრილობამ დააკონკრეტა პარტიის ხანგრძლივივი სტრატეგია მეთერთმეტე ხუთწლედისა და მოლიანად ოთხმოცდანი წლების პერიოდისათვის — სტრატეგია, რომლის მიზანი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით ცხოვრობდნენ უკეთ და მათ შრომას მოჰკონდეს სულ უფრო მნიშვნელოვანი შედეგები, რომ ჩვენი სოციალისტური წყობილება სულ უფრო სრულად აკმაყოფილებდეს თავის ბუმანურ არსს, თავის აღმშენებლობითს შესაძლებლობებს.

1983 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, აღინიშნა პლენუმზე, მთლიანად შეესაბამება ამ სტრატეგიას. გეგმის პროექტები შეიცავს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დინამიკური განვითარება, კაპიტალდაბანდებათა კონცენტრაცია, თითოეული სამეურნეოს რესურსებიანობის შემდგომი აღმავლობა. გაგრძელდება ხახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის მუშაობა — დაძაბული დაკვლებანი უნდა შეესახლოსო მატერიალური დანახარჯებისა და შრომითი რესურსების შედარებით ნაკლები გადიხარჯვა.

ეთანად მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის მატება შეადგენს 3,3 პროცენტით, ანუ 15 მილიარდ მანეთს მიმდინარე წელს მოსალოდნელი 9 მილიარდი მანეთის ნაცვლად. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 3 პროცენტით და მეტად.

სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზრდება 3,2 პროცენტით, ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა — 3,6, კაპიტალური მშენებლობის მოცულობა — 3,2 პროცენტით. 1983 წელს ბოგათლიწინებულია ეამოვიშუალო 1.405 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ 3,3 პროცენტით მეტი, ვიდრე წელს, ამასთან დაეგეგმილი მატების ორ მესამედს მივიღებთ ატომურ და ჰიდროელექტროსადგურებზე. ნავთობისა და გაზის კონდენსატის მოპოვება დაეგეგმილია 610 მილიონი ტონის მოცულობით, რაც შეესაბამება ხუთწლედის დავალებებს. მოვიპოვებთ 529 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს — 29,5 მილიარდი კუბური მეტრით მეტს, ვიდრე 1982 წელს.

დიდი ყურადღება ეთმობა აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებასა და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციას. მთლიანად კომპლექსის განვითარებას მოხმარდება დაახლოებით 47 მილიარდი მანეთი— 4,8 პროცენტით მეტი, ვიდრე წელს. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციი შეადგენს 137,3 მილიარდ მანეთს და 1982 წელთან შედარებით 10,5 პროცენტით გაიზრდება. ხორცის წარმოება წელის გან

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

„სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელობის სფეროში საბალნო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების თანობაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თანობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის ბრძანებულება „სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების ხელმძღვანელობის სფეროში საბალნო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილების თანობაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 24 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თანობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1981 წლის 4 დეკემბრისა „სსრ კავშირში ყოფნისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე ტრანზიტული ვაგონის წესების ბოროტი დარღვევისათვის უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებლობის შესახებ“;

1982 წლის 9 აპრილისა „ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებზე სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1982 წლის 17 აპრილისა „კონტინენტური შელფის ფარგლებს გარეთ ზღვის ფსკერის რაიონებში მინერალური რესურსების დაზვერვისა და დამუშავებისათვის საბჭოთა საწარმოების საქმიანობის რეგულირების დრობითი ღონისძიებების შესახებ“;

1982 წლის 5 მაისისა „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებსა და სსრ კავშირის სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1982 წლის 17 მაისისა „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1982 წლის 4 ივნისისა „საპაერო, სარკინიგზო, საზღვაო, შიდა წყალსანაოსნო და საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“;

1982 წლის 26 ივლისისა „სისხლის სამართლისა და შრომა-გასწორების კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“;

1982 წლის 27 ივლისისა „სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1982 წლის 27 ივლისისა „ცირე ზომის გემების სახელმწიფო ინსპექციებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვის უფლების მინიჭების შესახებ“;

1982 წლის 12 აგვისტოსი „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის თანობაზე „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1982 წლის 19 აგვისტოსი „აღმოსფერული პაერის დაცვის თანობაზე კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“;

1982 წლის 8 სექტემბრისა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თანობაზე სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად მიჩნევის შესახებ“;

1982 წლის 15 ოქტომბრისა „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 24 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს „სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 8 თებერვლის ბრძანებულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 24 ნოემბერი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

„საზღვარგარეთ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობათა დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 სექტემბრის ბრძანებულება „საზღვარგარეთ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობათა დებულების დამტკიცების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 24 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოგალეობისაგან ამხ. კ. თ. კატუშევის განთავისუფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 29 ივლისის ბრძანებულება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოგალეობისაგან ამხ. კონსტანტინე თევდორეს ძე **კატუშევის** განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 24 ნოემბერი.

დეპუტატ გ. ნ. კურტანიძის სიტყვა

(თბილისის პირველი მაისის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ახლანდელ სესიაზე ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების საგაისო გეგმებს რომ განვიხილავთ, ჩვენ კვლავ და კვლავ ვუკავშირებთ მთა ჩვენს რიგებს ნაადრევად გამოკლებული ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის, იმ ადამიანის სახელს, რომლის სიცოცხლეც, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე აღინიშნა, შეწყდა მაშინ, როცა მისი მეთაური ბრძანება და ძალისხმევა ხმარდებოდა სკკპ XXVI კონგრესის მიერ განსაზღვრული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას.

ძმიმეა დანაკლისი, რომელიც ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა განიცადეს. მაგრამ ჩვენ რწმენით ვევფერებთ ხალინდელ დღეს, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ განუხრელად გაგაგრძობთ დაწყებულ საქმეს. ეს რწმენა კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებებმა. ამ გადაწყვეტილებებში ყველანი ვხედავთ პარტიის ლენინური კურსის ურყევობისა და მემკვიდრეობითობის გამოხატულებას. ისინი ერთხელ კიდევ ცხადად გვარწმუნებს, რომ შეუშაებელი კურსი კვლავაც თანამიდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ჩვენ ყველამ უდიდესი კმაყოფილებით აღვიქვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნეს ლენონდ ილიას ძე ბრეჟნევის უაღლესი თანამოსაგრე, თავდადებული, ლენინური პარტიის საქმისადმი ერთგული კომუნისტი ამხანაგი იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ქვეყნისათვის ამ ძნელ ჟამს ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვძაბავთ ჩვენს ძალებსა და ნებისყოფას, მჭიდროდ ვირაზმებით კომუნისტური პარტიის გარშემო, კიდევ უფრო მტკიცედ ვიბრძვით ჩვენი საერთო საქმისათვის. როგორც პლენარული აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, გვაქვს ძალა, რომელიც გვეხმარებოდა და გვეხმარება ყველაზე მძიმე მოგზაურებში. ამ ძალას ერთობა ეწოდება. ეს არის ჩვენი პარტიის რიგების ერთობა, პარტიისა და ხალხის ერთობა, საბჭოთა ხალხების დიადი მრავალეროვანი ოჯახის სულისკვეთების, აზრებისა და საქმეების ერთიანობა.

მოქმედების ზუსტი პროგრამა, ახალი პერსპექტივებია დასახული დოკუმენტებში, რომლებსაც დღეს განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია. როგორც კომუნისტსა და მუშაკაცს, მინდა ამ ტრიბუნიდან ვთქვა, რომ ჩვენი განვითარების გეგმების მასშტაბურობაში, ეიფორიასა და მაჩვენებლების გრანდიოზულობაში მე და ჩემი პარტიელი და თანამშრომელი ამხანაგები ნათლად ვხედავთ მთავარს — საბჭოთა ადამიანის, მისი ყოთილდღეობის, მის თავზე მზვდომიანი ცის, ყოველი ჩვენგანის ბედნიერი ცხოვრებისათვის ზრუნვას. და აქვე მინდა დავძინო: მარტოოდენ „მადლობა“ ყოველივე ამისათვის არ არის საკმარისი. საჭიროა საქმით, შრომით, პირადი წვლილით ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის ყურადღებას და მზრუნველობას.

ამ ეოტა ხნის წინათ ჩემი მშობლიური ქალაქის, საქართველოს დედაქალაქ თბილისის დროშაზე აკიაფდა სამშობლოს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი. იგი ქალაქს მიენიჭა რეგიონალიური დამსახურებისათვის, დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებში შეტანილი დიდი წვლილისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის. ჩვენ დიდად ვამაყობთ ამ ჯილდოთი. იგი ფრთას გვასხამს ახალი მუშეურვალების, ახალი მიჯნების დასალაშქრავად.

ჩვენს ქალაქში, მის პარტიულ ორგანიზაციაში ახლა სამუშაო ვითარება და საქმიანი განწყობილება სუფევს. დასასრულს უახლოვდება მეთერთმეტე ხუთწლეული მეორე წელი, საქმე რიგიანად მიდის, უზრუველყოფილია დასახული გეგმების უპირატესი შესრულება პრაქტიკულად ყველა უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით.

დიდი მხარდაჭერა პოვა თბილისის საავიაციო ქარხნის მუშაკთა ინიციატივამ, რომელმაც გაიაფიეს ბრძოლა დარგსა და ქვეყანაში სოციალისტთა შორის წარმოებთა გასეულისათვის. ბევრი მიმდეკარი გამოუჩნდა ჩვენს ბრიგადასაც, რომელიც ყოველ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის იბრძვის. სოციალისტური შეჯიბრების ათასობით მოწინააღდეგი სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთვის ღირსეულად ზეიმობს ვახტენ ბერიძე და ვალდებულება იკისრა ვადამდე, ქვეყნის იუბილესთვის შესასრულებს ხუთწლეულის ორ წელიწადზე-ნახევარს, სამი წლის დავალებანი.

ათი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ადგილობრივ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რომელმაც დასახანი მისცა მძაკაცი ბრძოლას, რათა ალმოჩვეფხერა რესპუბლიკის ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, აღვფიკვეთა მუშობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. ქალაქმა და მთლიანად რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანები, გადასაწყვეტად მთელი ძალები დავრაზმეთ. და თავდადებულ შრომა დაგეიფასდა. ეკუნი წელი: ზედიზედ თბილისი საყოფრო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა რიცხვშია და იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ოლი

საუბარი პარტიზანებზე ანუ რწმენა

პუბლიცისტური პოემა

„ᲬᲘᲜ ᲒᲐᲡᲬᲘᲗ! ᲪᲐᲛᲓᲔ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲝᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲔᲑᲐ!“

Ვ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ.

I

კვლავ მომავალზე უკეთესი
ფიქრით და განცდით
და მრავალ დროშას მზისკენ ლტოლვით,
ჭარში ტკაცუნით,
რადგან შვილნი ვართ ამა ქვეყნის
და გვქვია კაცნი,
საქმეც ვაკეთოთ უნდა კაცური!
ვიღაც ქირქილებს კულისებში
და ეშვებს სოსავს,
ზოგსაც არ უნდა განასხვავოს
თეორიისგან შავი
და გაუხდია ცხოვრების წესად —
ანთხეოს ხალხზი გესლი და ზზამი...
შენ, საკართველოვ, უწმინდესო,
იცი გარჩევა:
ერთგულთა შენთა
და ორგულთა, კეთილის, ავის;
დღეს რაც არ ბუკვავს,
ის უკვავლად ან ვით დარჩება,
ვით არ დარჩება,
რაც ყვავლად ჩნდება
და ბუკვავს!...
კვლავ მზით დაფერილ
სამოლლისკენ ლტოლვა არ ცხრება,
და შენ გმირულად
გრიგალებში რწმენით გამძლები
დღევანდლამდე მოგიყვანეს ერისკაცებმა
და გიცავს წმინდა ერთგულება
ერისკაცების!

II

მაგ ერთგულების სიმძიმე ჩვენაც
გადმოგვეცემა მამიდან შვილებს
და ვიღებ,
როგორც ანდერძს და რწმენას
მრავალჭერნანახულ პარტიულ ბილეთს!
ბრძოლით გამოვლილ!
რწმენით გამოვლილ!
სისხლში და ცეცხლში გამოვლილ ბილეთს!..
...მზისკენ ლტოლვით და
სხივთა კაშკაშით
ჩვენც ხომ ძიება გვარგუნა ბედმა
და მის ფურცლებში,
როგორც ხარკები
ერთად წარსულს და მომავალს ვხედავ...
ვხედავ უკუნში
სინათლის ციმციმს
და გარდასული დროის ამსახველ
ძეგლებს,
სურათებს მოხატულს სივრცით,
ავლაბრის ტაძრებს,
ზამთრის სახახლეს...
ავხილ ათასი მზით და უკვავილით,
გაჩარაღდნებულს
დიდების მზეზე,
ვხედავ ბალებად ქცეულ ყამირებს,
ახალ ქალაქებს,
სოფლებს და ბაღებს...
გმირულ ხუთწლედებს... ათიათასთა
ნედან,
სიხარულს,
ტკივილს მიწიერს,
რაც დაფასდა და
რაც გადაფასდა,
იმ წარმატებებს
და იმ მიღწევებს...
ორმოცდაერთის ცრემლსა და განგაშს,
შელახულ საზღვარს,
დანგრეულ კედლებს,
გმირებს ჩარჩენილს თოვლში, ხანგაში
და ღამესავით ბოარულ დედებს...

* * *

...სიკვდილის ალით
სივრცე გარეკეს,
მათ კი ლამაზი სიცოცხლე სურდათ
და როგორც რამე ძვირფას საუნჯეს
პარტიულ მანდატს მალავდნენ გულთან...
წინ მიიწევდნენ
მამულის მხსნელად,
ზოგჯერ არც ჩანდა გზა გადარჩენის
და თან მიმქონდათ
იმედად, რწმენად
„ის პაწაწინა დროშის ნაპერი“...
მნახველებს მრავალ
ცრემლის და სისხლის
შურისძიების გრძნობა ავსებდათ
და ეერშზე გადადიოდნენ
უკვდავებაში გადახასვლელად...

III

„რწმენით იარ, რწმენით იარ!“
ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ

...თუ მათი მოგდევს
რწმენა და ფიქრი,
ხალხს უნდა გაპყვე
ბრძოლის ბოლომდე
და რწმენით, მხოლოდ ურყევი რწმენით
სხლეო სიმუხთლეს და სიბოროტეს...
ერის ჩრდილიც და
ერის ნათელიც
ხალხის ფიქრში და გულში იწყება
და წმინდა გული,
როგორც სანთელი,
ქვეყნად უკვალოდ არ დაიწვება!...

IV

— რაკომ შედიხარ პარტიაში? —
ᲒᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ,
თითქოს აღიქვამ ამ შეკითხვას,
როგორც ტარფარეტს...
მაგრამ განსაკე გონებაში,
ფიქრით განსაკე
ეს შეკითხვა და პასუხი მასზე: —
შენ დაინახავ
გზას ურთულესს
და უდიადესს,
გზას გაფლილსა და
გზას გასავლელს,
ბიოგრაფიას შენსას და ჩემსას, მეგობარო!
ბიოგრაფიას ჩვენი ქვეყნის,
ჩვენი მამულის
და ორიენტირს მომავლისას, —
წინსვლის, ძიების..
არც ერთი კაცი, ნაღდი კაცი
გვერდს რომ არ უვლის.

V

მეც შენზე ფიქრით
და წუხილით ღამეებს ვათევ.
ჩემო სიხლო და
უძლეველო ჩემო ჯილაგო
და ლეკნებს გიწერ,
ანუ მეცინეს მეც ვანთებ სანთელს,
რომ უფრო კარგად მოგეფერო
და დაგინახო!
ჭარტეხილები გადმოლახე
გუგუნით, ბრძოლით
და უკვდავების შორეული
ველიან გზები,
წინ! წინ! სამშობლოვ!
წლები გიხმობს გმირული შრომის,
წინ! წინ! სამშობლოვ!
მხოლოდ მზისკენ:
ზეკით და ზეკით!
კაცურ-კაცობის,
აზრის,
ფიქრის,
რწმენის დიადის
დღევანდელობა მხრებზე გადგას
შარავანდედად,
რომ კვლავ გეხილი აღზევების
ეს განთიადი,
თავი გახსნილა უყოყმანოდ
შენთვის რამდენმა!...
სისხლის —
ძარცვებში რაც კი მიდგას
ყოველი წყეთით,
ნერვის — რამდენიც გულს მოთრთოლებს
სამით ყოველთო,
დღეს შენ ვეკუთვნი
და თუ მეტყვი,
მოვკვდები შენთვის!
სხვა უკვდავებას
და დიდებას მე არც მოველი!...

VI

იმ გარდასულ? დროს
ელვიანი უვლის ლემადე
და შარი-შური ცად გაშლილს
ისმის დროშების
და როგორც სხივი, ჭარს სევდიანს
მოაქვს ჩემამდე
წარსულის სუნთქვა ხანგამოშვებით!...
და არაფერი დღეს ხსოვნაში
არ არის ბკვდარი,
არც არაფერი დანისლული
ფერფლად ქცეული, —
ის შორეულიც მძლე გუგუნით
კვლავ დაჭრის ჭარი,
მიხმობს ბრძოლებიც ის გმირული
და შორეული...
მიხმობს ის წლებიც აღშენების, —
დიდების ღირსი,
ის სამამულოც: ტკივილებით
და იმედებთ,
იქ ხომ მრავალთა
დაკცეულ სისხლში
ანთია ჩემი, სისხლის წვეთებიც!...

VII

...ჩვენ ომის, გარდა
სხვა ტკივილის გვქონია წლებიც,
წლები ბოროტის აღზევების,
კეთილის ძლევის...
გვქონია წლები
მხოლოდ მწარე დღეთა მომსწრები: —
ერის სიწმინდის გამყოდვლების
და სამშობლოს...
გვქონია წლები დაღმასვლის და...
დაცემის წლებიც...
წლები ბოროტის აღზევების,
კეთილის ძლევის!..
ჩვენ ომის გარდა
სხვა ტკივილის გვქონია წლებიც!...

VIII

...დღეს კი, სამშობლოვ, რწმენად ქცეული,
გვავსებს ეს წლები კვლავ აღმაფრენით,
ოდეს მრავალი ზღუდე ძლეული
სხვაგვარი ეინით და გამძაფრებით...
დღეს კვლავ სიწმინდის
გზებზე გვეგულვი,
გაქვს მზე თავისი,
ხმა საკუთარი,
ისევ გუგუნებს შენი ენგური,
ისევ დგანდგარებს შენი რუსთავი...
და ვიღებ ხელში პარტიულ მანდატს,
როგორც სანთლეს მომავლის ჩვენის,
დაე, მას წმინდა ხელების გარდა!
დაე, მას მართალ ხელების გარდა!
დაე, მას ერთგულ ხელების გარდა!
არ შეხებოდეს სხვაგვარი ხელი!...
რა გაგიჩნია სხვა სიმდიდრე
უფრორე დიდი
შენი სამშობლოს აყვავების და წინსვლის
გარდა;
მაშ ყოველ საათს და ყოველ დღე, როგორც
შენს სიდიადს,
გაესაუბრე პარტიულ მანდატს!...

IX

ჩვენიც ხომ უნდა ღირსეული
დაიჩნდეს კვალი
ამ საუკუნეს უდიადესს
თავის ნახტომით,
გადაუხდელი, დღიდან შობის,
მოგვიხმობს ვალი
ჩვენი მამულის,
ჩვენი სისხლის,
ჩვენი ბვარ-ტომის!
ᲬᲘᲜᲐ,
ᲫᲔᲠᲬᲕᲐᲕ,
ᲕᲮᲢᲐᲕᲐ,
ძველს ვანგრევთ თუ
ახალს ვაშენებთ,
თუ მძლავრი დროის შესაფერისს
ვაღდერებთ ჩანგებს,
ომით დავაქცევთ ამ სამყაროს,
თუ დავამშვენებთ,
ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!
ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!
ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ! მომავალთან
პასუხს ჩვენ ვაგებთ!...
დღეს პირველყოფლის
ყველა საქმეს სპირდება გული:
მამულიშვილის,
ერისკაცის,
ბრძენის, სწავლულის
და ხალხთან დგომის საუკუნოდ
ფიქრისა და სურვილის
იმავე ხალხის ერთგულება
და სიყვარულის!...
თაობავ ჩემო,
წინ მეგვიძევს
მრავალ ჭეშირის,
მრავალ სიძნელის
და გრიგალის გადამლახველი,
კვლავ შემოქმედი
სასახელო გამარჯვებების
მამა-პაპათა,
ერისკაცთა წმინდა სახელი...
ჩვენ წინ მიგვიძევს
ანთებული ციცხა ნთელით,
როგორც სამებით დაკვალული
ფიქრის ხაზები,
ხალხის გონების შემომკრები,
და წარმმართველი
ჩვენთვის ნაცნობი სახეები უძვირფასესი!..
დღეს ყველამ იცის, ეს გაძღოლა
რამდენად გვიდირს
და საწუთრიდან ვიღრე გავალთ,
ვიღრე ჩავიკლეთ,
ჩვენც გვინდა ჩვენს ხალხს —
დედამიწის დიდებულ გვირგვინს,
ჩვენი სიცოცხლეც ამშვენებდეს,
როგორც ყვავილი!...

X

ჩემო თაობავ,
თუმც ვიცხოვრეთ ქვეყნად მცირედი,
ხალხს და სამშობლოს მივუძღვენით
მთლიანად იგიც; —
ხომ ყოველი დღე იყო ჩვენთვის
სავსე ძიებთ,
ხომ ყოველი დღე იყო სავსე
მამულზე ფიქრთ!...
ჩვენც გვინდა ცოცხალ
ეს ბერი,
ჩვენც ხომ ბრძოლა შეუცნობლის
გვსურდა შეცნობა,
შეძლება გვსურდა ჭერაც კიდევ
შეუძლებელის...
ჩვენც ხომ ვიწვნეთ,
ოდეს სხვებმა მწარედ
შეცცოდეს,
(იმ წლებს ტკივილით კვლავ ვიხსენებთ,
როგორც იარაბს!)
გამოვაღწიეთ,
მხოლოდ რწმენით
იმ ძველ შეცდომებს,
იმ შეცდომებზე,
ვით ნაღმებზე,
გადმოვიარეთ...
დღეს მხარს ვუმზვენებთ
მათ, რომელთაც საქმით, ოცნებით
მზობელ ხალხისთვის თავდადება
ბედად იწამეს
და კვლავ ანთებულ სიწმინდეს
და პატიოსნებას
ვით ერის სინდისს,
ვით ერის განძს მტკიცედ იცავენ!
ჩემო თაობავ,
თუმც ვიცხოვრეთ
ქვეყნად მცირედი,
ხალხს და სამშობლოს მივუძღვენით
მთლიანად იგიც:
ხომ ყოველი დღე იყო ჩვენთვის
სავსე ძიებით,
ხომ ყოველი დღე იყო სავსე
მამულზე ფიქრთ!

XI

დაზგასთან დგახარ,
ლეკნებს თხზავ თუ
ცხვარს მიხდევ მწყემსად,
ახალ ქალაქებს აშენებ თუ
კაშხალებს აგებ, —
მოკალაქე ხარ!
და ყოველდღე ეს გკონდეს წესად,
რომ შენს თავს ჰკითხო:
„დღეს ჩემს მამულს თუ რამე ვარგე!“
„ან თუ მიმიძღვის მის წინსვლაში
ლვაწლი მცირედი“, —
გამარჯვებებით რასაც ვაღწევთ,
რასაც ვაღწევთ,
რადგან სამშობლოს
არ ჰკონოდა შენი იმედი
დღეც არ ყოფილა ქვეყნად არცერთი!...
რადგან ნაღვაწი:
მეკვნახის,
მწყემსის,
მშენებლის,
ნაღვაწი მგოსნის,
ხუროოთმოძღვრის,
მუშის,
მეგუთნის, —
ჩვენი კაცობის გვირგვინია
დამამშვენები
და ყოველივე განურჩევლად
დღეს ხალხს ეკუთვნის!...
დიდი ნიგეა
უკვდავ ფერებთ,
განკუთნო ძველი ბრილობები
მოუშუშები: —
აქეთ გარეკის გარეკულის,
იქით ჭერემის,
აქეთ დაცლილი ნეკსურეთის,
იქით თუშეთის!...

დიდი ნიგეა
რწმენის დროს ატარო ქვეყნად, —
ნერგი მომავლის:
ფეხვძლიერი კაკლის თუ ვაზის
და საკართველო
ერთ მშვენიერ ყვავილად შეკრა,
ერთ თაიგულად
უკვდავების და სილამაზის!..

დიდი ნიგეა
რწმენის დროს ატარო მაღლა
დროშა სიწმინდის,
ვით სიმბოლო
ძიების ახლის
იცხოვრო ხალხში,
წრფელი გული დაფერფლო ხალხთან
და საკვდილამდე
ერთგულება შეგეძლოს ხალხის...

XII

...ჩვენს შორის კიდევ დადიან ადამიანები, რომლებიც სიტყვით თავს მეგობრად გვაჩვენებენ, საქმით და ფიქრით კი სხვას სრიდიან; არაფრად აგდებენ ერისა და ხალხის ინტერესებს...

ჩვენს შორის დადის
და მეგობრად თუმცა გვეგულვის,
დრო რომ დაუდგეს, არ დაგვინდობს,
ერსაც გასწირავს, —
მოჩვენებითი მხარდაჭერის
და სიერთგულის
გადაკვარების აკი ბაცილა!...
ის ჩვენს მიღწევებს
სეედიანი დუმილით ხვდება
და დამარცხებებს
სიხარულის აგებებს სიცილს
და სიძნელის ყამს,
როცა მხარში დგომა გვჭირდება,
შეუმჩნეველი განდგომა იცის...
ანდა მოგვყვება
ჩვენს გრძნობებზე ალუსილ სიტყვით,
განმეჭიქებელი ყოველდღიურ
ხიჭკის და ნაკლის,
მხრებზე ჩაკიდა
უმძიმესი მაზვრალის ტვირთი —
ეს მხოლოდ სიტყვით
და არა საქმით!...
მაგრამ ცხოვრება თავის გზით მიდის
და დრო გაარჩევს
მტყუანს და მართალს;
მაშ გაუფრთხილდი, როგორც რწმენას,
როგორც შენს სინდისს
სისხლში და ცეცხლში გამოვლილ მანდატს!...
დამშვიდე ბარ!
თუ დუმილით უვნებელ ჩრდილში
უიმედოდით დგახარ დაღლილი,
ხოლო შენივე წყურვილით,
რიდით თუ შიშით
განცხრომაშია საქმოსანი —
ვიღაც თაღლითი...

„ო, ამ სიმშვიდის ბაზღაური იქნება ჩაცური...
კაცი ურცხვი და
უტიფარი თავს დაგდგომია,
ხმა ამოიღე,
დამნაშავეს გადაეღობე
არ დაიხიო,
არ დაუთმო,
ესეც ომია!...“

დრო, ვით მსაჯული, კვლავ გვიხმობს და
თავის გზით მიდის,
მკაცრი თემიდაც განსახკილად
მომდგარა კართან; —

მაშ
„ყოველ საათს
და ყოველდღე, როგორც შენს სინდისს,
გაესაუბრე პარტიულ მანდატს!..

XIII

ოცდამეერთე საუკუნეე!
გიხმობ მეოცე —
ეს ეტაფეტა იყოს დღეგრძელი,
ვიკავ შებრძოლი
და მეოცნებე,
ბევრი შევძელი,
თუ ვერ შევძელი...
მე თვითონ მხურდა
ფურნეა მზემდე
და ასაფრენად
მძლავრ ფრთებს ვიხხამდი,
რადგან ვფლობდი,
მემკვიდრეე, შემდეგ
ამ ლტოლვისათვის
არ შემრეხხავდი...
გზა გაგიკვალე
და შორს განახე
ხხივდაფენილი გზა და მიზანი,
შენ გელის,
ჩემს წინ თუ არ განიხვნენ,
კარები უცსო ხამოთხანი...
და მე მშორს შენი,
როგორ არ მშურდეს
მაგ აღმოჩენის,
მაგ აღმაფრენის,
ოდეს ძლიერსა მრავალი ზღუდე
სხვაგვარი ეინით
და გამძაფრებით!...

XIV

თუ კი ოდესმე გვჭირდებოდა
დღესაც გვჭირდება
მისაგებელი რომ მივაგოთ
შუქსა და ჩრდილებს,
ჩვენ რას ვახვედრებთ
ხამაყოდ და სადდებლად
ოცდამეერთე საუკუნის
ფიქრიან შვილებს?...
ერის დიდებას,
უკვდავების წმინდა განძია
იმ ქარტეხილებს რაც გადურჩა
ყველა უძლებლივ:
სვეტიცხოველი,
ალაგერდი,
ჯვარი, ვარძია,
ეს ცისკენა უმტკიცესი
და ხილთუმქნელი...
საუკუნეებს რომ დაანდეს
ელვად და ბრწყინვად
და ამ დღეების უკვდავებად
იქცეს ყოველი, —
ჩვენც აღვაშენოთ,
აღაშენეს ეითარცა წინათ
პატიოსნების და სიწმინდის
ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ!...
სამყარო ბრუნავს
ავსებული მზითა და ბინდით,
ოცდამეერთე საუკუნეც
მომდგარა კართან;
მაშ გაუფრთხილდი!
როგორც რწმენას,
როგორც შენს სინდისს, —
სისხლში და ცეცხლში
გამოვლილ მანდატს!...

● ●

იბრძვის,
იღვწის,
ეხსრაფვის
მთელი ხალხი მილეთის —
ეწოდოს და მიიღოს,
ღირსეულად ატაროს
კომუნისტის სახელი,
პარტიული ბილეთი!

ᲜᲘᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ 1982 ᲬᲚᲘᲡ.

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲒᲐᲛᲝᲗᲮᲝᲕᲔᲑᲐ

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მოსკოვი გამოეთხოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს მიხეილ პოროფეევს ძე გიორგაძეს.

ძეძეშია საბჭოთა არმიის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური სასლის წითელდროშოვანი დარბაზი. ყვავილებით მორთულ კვარცხლბეკზე დასვენებულია მიცვალებულის ცხეადარი. ალისფერ ატლასზეა ორი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები, მედლები, საზოგრგარეთის ქვეყნების ჯილდოები.

დარბაზში ბევრი გვირგვინია. აქ არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მოტანილი გვირგვინი.

საპატიო ყარაულში იდგნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ე. ა. შევარნაძე, ი. ვ. კაპტორნოვი, ს. ვ. რუსაკოვი, ნ. ი. რიქკოვი.

საპატიო ყარაულში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მოსკოვის წარმომადნენელები, მოსკოვის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ნოეოდეევის სასაფლაოზე, საიდაც დაიკრძალა მ. ვ. გიორგაძე, გიმბართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ ვ. ვ. კუზნეცოვი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპტონოვი, დამკრძალავი კომისიის წევრები. მიტინგის გახსნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა მ. ვ. გიორგაძის დამსახურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე სახალხო დეპუტატთა საბჭოთის საქმიანობის ყველა მხარის განვითარებაში. მიტინგზე გამოვიდნენ მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. მ. კოლობინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი გ. გ. ფაბაშიძე. (საკვლევი).

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲡᲢᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲘᲠᲓᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲔᲜ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ

● ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲡᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲘᲞᲠᲝᲒᲕᲔᲡ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ მიიღო უფლება რეგისტრაციაში გატარდეს როგორც საკოველთაო არჩევნების მონაწილე, რომელიც 1984 წლის მარტამდე გაიმართება. როგორც კომპარტიას წარმომადგენელმა გამოაცხადა, მარტო სამ პროვინციაში პარტიამ წარადგინა 37 ათასზე მეტი წევრის სია — ბევრად მეტი, ვიდრე სამხედრო მთავრობის მიერ წინათ გამოცხადებული ნორმით არის გათვალისწინებული.

ფართო საგიტაციო კამპანიის მსვლელობაში, რომელიც გაიმართა ლოზუნგით „სამშობლოს სპირდება ძლიერი კომპარტია“, სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში კომპარტიის ადგილმდებრივმა ორგანიზაციებმა გამართეს მრავალრიცხოვანი მიტინგები და კრებები, რომლებზეც განუმარტავდნენ პარტიის მიზნებსა და პროგრამას.

26 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲤᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სარწმუნოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა ჩაიორიეს ეგრეთ წოდებული ავღანეთის საკითხის განხილვაში. ეს ფუძე და მაგნე დისკუსია განხრახ გამოიწვიეს იმ წრეებმა, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ დაძაბულობა სამხრეთ-დასავლეთ აზიაში თავიანთი იმპერიალისტური და ჰეგემონისტური მიზნებისათვის.

შეერთებული შტატები ინიციატორი ამ პროვოკაციული წამოწყებისა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში მიიჩნევენ საერთაშორისო ორგანიზაციის სუვერენული წევრის — ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სამინაო საქმეებში ზეიარაღებული ჩარევად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ჯ. კირპატრიკმა თავის გამოსვლაში სცადა ტონი მიეცა დისკუსიისათვის, ამასთან ცილი დასწამა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთის მთავრობას.

ამერიკის დელეგაციის მეთაურის ბინძურ მონაჩმახს საკადრისი პასუხი გასცა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მ. ფარიდ ზარიფმა. ავღანელმა ხალხმა, თქვა მან, დამოუკიდებლად აირჩია თავისი გზა და არავის მისცემს ნებას უკარნახოს რომელი პოლიტიკური და სოციალური სისტემა აირჩიოს და როგორ გაუფრთვა თავის საქმეებს. ანტიავღანური კამპანია, რომელიც იმპერიალისტურმა წრეებმა გაიჩაღეს, მიზნად ისახავს შენიშნოს ამ წრეების პრეტენზიები სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში.

მ. ფარიდ ზარიფი შეეხო ავღანეთის ხალხის დიდ მიღწევებს ახალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ავღანეთის გარშემო და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ აზიის რაიონში დაძაბულობის შენარჩუნებისათვის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას, განაცხადა სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ო. ა. ტორიანოვსკიმ. კოლონიური დამოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესია მხოლოდ ნაწილია სამხრეთ აზიიდან სპარსეთის ყურემდე მთელ რეგიონში მდგომარეობის დესტაბილიზაციის ვრცელი გეგმისა.

საბჭოთა კავშირის პოზიცია, ხაზი გაუსვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ცხადი და თანამიმდევრული. ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კონსტრუქციულ ინიციატივებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ავღანეთის გამო შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას ავღანეთის საქმეებში შეიარაღებული და რაიმე სხვა ჩარევის სროელ და უთუო შეწყვეტისა და იმ ბარაბტიის საფუძველზე, რომ იგი აღარ განახლდება, აგრეთვე ავღანეთისა და მისი მეზობლების ურთიერთობის ნორმალიზაციას. საბჭოთა კავშირი ავღანეთს მიიჩნევს ჯეიმოუკიდებელ, მოუმხრობელ სახელმწიფოდ და თვლის, რომ ავღანეთის კვლავაც უნდა ჰქონდეს სწორედ ეს სტატუსი.

● ᲒᲬᲠ-ᲐᲣᲨ

ᲐᲕᲒᲔᲓᲘᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲝᲑᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲑᲝᲜᲝ. აქ გამოქვეყნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება უშიშროების დარგში პოლიტიკის საკითხებზე. ეს დოკუმენტი მოიწონეს კაბინეტის სხდომაზე, რომელიც, რაც ნიშანდობლივია, მიმდინარეობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შენობაში. სხდომას დაესწრნენ ევროპასა ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი ბ. როჯერსი და ნატოს სხვა მაღალი თანამდებობის პირნი.

ამ განცხადების აზრი ის არის, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაა აღსატურეს უშიშროების სფეროში ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატებისადმი ერთგულებას.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ პირველ გაბარდოს ბუნდესვერის სამხედრო ძლიერება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წვლილ ნატოს სამხედრო მანქანაში, რისთვისაც გამოიყენებს „მთელ ძალებსა და საშუალებებს“. დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ნატოს თავისი პოლიტიკის ქვაკუთხედად ყოველთვის მიიჩნევა „დაშინება“, რომელიც უნდა უზრუნველყოს „ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღებმა“. ბლოკის სამხედრო ძლიერების დეენიადეგ ზრდამ. გაცხადების თქმა ნაწილში, სადაც საქმე ეხება ჰეხტგონისა და ნატოს განწარახვას განალაგონ დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დაადასტურა, რომ დათანხმდება ამ ნაბიჯს, თუ 1983 წელს ევროპაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ძალაპარაკებაზე „ვერ მიაღწევენ კონკრეტულ შედეგს“.

სამხედრო დარგში ეს პროგრამა, რომელიც ჩამოაყალიბა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, ფორმითა და შინაარსით უახლოესგზა ამერიკის ახალგული ადმინისტრაციის მილიტარისტულ განცხადებებს და დეკლარაციებს. მას ასაბუთებენ უსაფუძვლო მტკიცებებით ოფიციალურად ვრცელი ტეზისი, ანუ ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში დარღვეული იყოს სამხედრო წონასწორობა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, განცხადებაში გამოთქმულ აზრს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა „მზად არის განაგითაროს სტაბილური ურთიერთობა ევროსაელეოს და დასავლეთს შორის“, არავითარი

● ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურმა მეფე ხუან კარლოსმა, რომელმაც დაამთავრა კონსულტაციები ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე დაასახელა ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივნის ფილიპე გონსალესის კანდიდატურა. მეფის ეს გადაწყვეტილება გამოაცხადეს 25 ნოემბერს სალამის ესპანეთის პარლამენტის დეპუტატთა კონგრესსა და სენატის ერთობლივ სხდომაზე. ესპანეთის თავმჯდომარესთან გრეგორიო პეესს-ბარბოსთან მისი შეხვედრის დროს, 30 ნოემბერს გათვალისწინებულია ფილიპე გონსალესის გამოსვლა პარლამენტში, სადაც იგი ჩამოაყალიბებს მთავრობის პროგრამას, რომლის შემდეგაც კენჭს უყრიან მის კანდიდატურას მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე.

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. იაპონიის მთავრობამ პრემიერ-მინისტრ ძენკო სუძუკის მეთაურობით გამოაცხადა, რომ გადადგა. როგორც კოიდო ცუსინის საინფორმაციო იუწყება, იაპონიაში ნაკანიენ, რომელმაც სუ. ძეკი მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის პოსტზე შეცვალა, გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე ხმების უმრავლესობით აირჩიეს ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრად.

ი. ნაკასონე გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეა. მას ეკავა სხვადასხვა მინისტრები, მათ შორის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის, ეროვნეულ თავდაცვის სამმართველოს უფროსის პოსტები.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ

ᲒᲕᲐᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲥᲕᲘ

ᲐᲜᲐᲐᲠᲐ. ნოემბრის პირველ რიცხვებში უჩვეულო გვალვის გამო სტამბოლ

ციცინატოს ფერები

საგამოფენო დარბაზებში

ვოსკოვი, ლიტერატურთა ენენტალური სახლში, წარმატებით ჩაიარა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ნათელა იანქოშვილის გამოფენამ. იგი ხატავს ადამიანებს, მთებს, ხეობებს, მინდვრებს. და, მაინც, ამ გამოფენაზე გახსენდება ზღვა, უფრო სწორად, მისი მფოსფოროსცენტ-ბელი თითქოსდა ღიმილი. თითქმის შინაგან ნათელს გამოსცემს ნათელა იანქოშვილის ტილოები, რომელშიც შეხამებულია მუქი შავი ტონი ზურმუხტისფერ-მწვანესთან. ფერების ეს „ფუტი", რომელიც მისი ნაწარმოებების კოლორიტული საფუძველი გახდა, ყველაზე მკაფიოდ და გამომსახველად ქიღრის ხელოვნის საყვარელ ანარში — პორტრეტულ ფერწერაში.

სწორედ პორტრეტთან არის დაკავშირებული ყმაწვილი ქალის — საქართველოს სამხატვრო აკადემიის, კურსდამთავრებულის ნ. იანქოშვილის პეიზაჟებს შორის ყურადღებას იპყრობს სერია „საქართველოს კულტურის ძეგლები". ავტორი გვიჩვენებს ძველ ხუროთმოძღვართა ქმნილებებს და თითქოს მიეყვანართ იმ ადგილას, სადაც ყველაზე სრულად წარმოჩნდება თითოეული ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებანი და სიმშვენიერე, მათი ჰარმონიული შერწყმა გარემო ბუნებასთან.

წყნეის გრაფიკა მხატვრის შემოქმედების კიდევ ერთი ფურცელია. გამოფენა გვაცნობს მოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისთვის" შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევართა ციკლს. ამ შედევრის ილუსტრირების ისტორია საკმაოდ მდიდარია, მაგრამ მხატვარმა გამონახა მისეული, ორიგინალური გზა.

ნათელა იანქოშვილი თითქმის ყველა ნაწარმოებში — ფერწერა იქნება ეს, დაზგური თუ წიგნის გრაფიკა — უხვად იყენებს შავ ფერს, მაგრამ ეს სულაც არ ხდის მის ტილოებს პირქუშს. პირიქით, შავი ფერი ფონია სხვა ფერებისათვის და ალინერებს მათს ემოციურ გამოსახველობას, ქმნის ღელვიერთა ციცინატოსანა და სიმსუბუქეს.

ო. ველიკანოვა.

„პრავდა", 1982 წლის 24. XI.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია". (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი თანამოკლეები". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გეგორქ ემინი". 11.00— ლიტერატურული გადაცემა „ესენინი საქართველოში" (განმეორებით). 12.00 — მხატვრული ფილმი „ბუნი კაცისა". I და II სერია. 14.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი ბოგომოლეი". 16.30 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის კონსტიტუცია. 17.00 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის, „ჯარგვამდ ვიხმობენ" — გია აბრამია (განმეორებით). 18.00 — გადაცემა „პროპაგანდისტები". 18.20 — „თეალთათ" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.55 — „პოეზია" — მიხეილ ქვლივიძე. 19.15 — „მოამბე". 19.45 — „ღღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „სსრკ-60" „ერთიან ოჯახში". — საქართველოს ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — „საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე". 23.05 — „სსრკ-60" — სომხეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.30 — განესხადებები. 17.35 — მხატვრული ფილმი „ფაბრუნეზა". 19.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არინას ბედნიერება".

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვორონეჟი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამალლეკ". 11.00 — მოსწავლეთათვის — „წყაროსნეული". სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 11.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აცოცხლობის საოცარებთან". 13.00 — მაიმუნკეის ტელეკურსი. 13.30 — მხატვრული ფილმი „გარეულები". 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — განესხადებები. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.55 — მოსწავლეთათვის — „გამოგვეხმაურეთ, მეგობრებო!" (8.). 18.45— ახალგაზრდობისათვის. „მეცხოველეთობას — კომკავშირული ზეწოლა". გადაცემა „მოავარი საზრუნავი". 19.15 — გალაკტიკის ტაბიძის დაბადების 90 წლისთავისადმი — „დედფეეი ია, სადაც ქარიშხალია". 19.45 — „ღღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — კინოფურნალი „ეგენიერება და ტექნიკა". 21.00 — სატელევიზიო მრავალეპიზოდიანი დოკუმენტური ფილმი „დიადი ხალხის სამამულეო". პრემიერა. ფილმი მეოთხე „ლენინის საქმე" (მ.). 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან" — მხატვრული ფილმი „ეფინეური შეხვედრა". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამა: „ეძმამ მიფის ფეხბურთზე", „თოჯინები დაეხმარნენ", „ბებრები", „ლრიბლინეი". 17.50 — განესხადებები. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.20 — ლიტერატურული ფილმი „ტყის სასადილო". 18.10 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 18.55— ქართული დოკუმენტური ფილმები: „სეფდიანი რომანსი", „გადაღების დაწყების წინ". 19.20 — მხატვრული ფილმი „ტაიგური მოიხრობა".

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბურგუტა". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამალლეკ". 11.00 — მოსწავლეთათვის — „წყაროსნეული". სატელევიზიო ჟურნალი (განმეორებით). 11.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „აცოცხლობის საოცარებთან". 13.00 — მაიმუნკეის ტელეკურსი. 13.30 — მხატვრული ფილმი „გარეულები". 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — განესხადებები. 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.55 — მოსწავლეთათვის — „გამოგვეხმაურეთ, მეგობრებო!" (8.). 18.45— ახალგაზრდობისათვის. „მეცხოველეობას — კომკავშირული ზეწოლა". გადაცემა „მოავარი საზრუნავი". 19.15 — გალაკტიკის ტაბიძის დაბადების 90 წლისთავისადმი — „ფედფეეი ია, სადაც ქარიშხალია". 19.45 — „ღღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.50 — კინოფურნალი „ეგენიერება და ტექნიკა". 21.00 — სატელევიზიო მრავალეპიზოდიანი დოკუმენტური ფილმი „დიადი ხალხის სამამულეო". პრემიერა. ფილმი მეოთხე „ლენინის საქმე" (მ.). 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — „ქართული კინოს ისტორიიდან" — მხატვრული ფილმი „ეფინეური შეხვედრა". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების პროგრამა: „ეძმამ მიფის ფეხბურთზე", „თოჯინები დაეხმარნენ", „ბებრები", „ლრიბლინეი". 17.50 — განესხადებები. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.20 — ლიტერატურული ფილმი „ტყის სასადილო". 18.10 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 18.55— ქართული დოკუმენტური ფილმები: „სეფდიანი რომანსი", „გადაღების დაწყების წინ". 19.20 — მხატვრული ფილმი „ტაიგური მოიხრობა".

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კრენგლმანი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — „სსრკ-60" — დოკუმენტური ფილმი „მთა ოკეანე ელიან". 11.00—მეზუთე კლასის მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 11.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაუფრთხილდით მიწას". 13.00 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია. 13.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ბედნიერი შეხვედრა". 17.00 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „მზემ წითლად ამოანათა". 17.55 — „ხუთწლედი წელი მეორე". სატელევიზიო პროგრამა. 18.30 — „გავეფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს". 19.00 — „მილლიონთა ლენინური უნივერსიტეტი" — „საბჭოთა ადამიანის აქტიური პოზიცია" (მ.). 19.30— „მოამბე". 20.00 — „სსრკ-60" — „ერთიან ოჯახში" — ფაზახეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — გალაკტიკის 90 წლისთავისათვის — გადაცემა „ადამენი". 23.20 — მხატვრული ტანვარჯიში „ინტერვიზიის თასზე". 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.35 — განესხადებები. 17.40 — სატელევიზიო ფილმსპექტაკლი „მოკითხვამდე". 18.55 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩერნოვეი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო ფილმსპექტაკლი „მკვდარი სულები". 13.00 — ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — მხატვრული ფილმი „სამალლის შიში". 17.00 — ტელეკურსი ეთათვის — საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.30 — — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი. 18.20 — ლიტერატურული გადაცემა „სამშობლოზე ფიქრით". 18.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბალის სამკაული". 19.05 — რეპორტაჟი „სატელევიზიო ხარისხის სახელიდან". 19.45 — „ღღეს მსოფლიოში" (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — მხატვრული ტანვარჯიში „ინტერვიზიის თასზე" (პრესკონფერენცია). 21.30 — კონცერტი. 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — მხატვრული პროგრამა.

მეორე პროგრამა. 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ლამის ცვლა", „ეზო ტანმოზე". 17.45 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა. 18.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თამაშობენ გოგონები პოკეს". 18.30 — მოსწავლეთათვის — ბიზეა. 19.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სინიშუკას ბეა". 19.45. — განესხადებები.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტორნიაუზი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — შევისწავლოთ ქართული ენა. 11.00 — „სსრკ-60" — „ერთიან ოჯახში" — ფაზახეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 22.00 — „ერემია" (მ.). 22.35 — „ბალეტი „ბალეტი". 23.05 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 23.15 — „ბალეტი „ბალეტი". 23.25 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 23.35 — „ბალეტი „ბალეტი". 23.45 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 23.55 — „ბალეტი „ბალეტი". 24.05 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 24.15 — „ბალეტი „ბალეტი". 24.25 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 24.35 — „ბალეტი „ბალეტი". 24.45 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 24.55 — „ბალეტი „ბალეტი". 25.05 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 25.15 — „ბალეტი „ბალეტი". 25.25 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 25.35 — „ბალეტი „ბალეტი". 25.45 — „ბოეზიის ხუთი წუთი". 25.55 — „ბალეტი „ბალეტი".